

ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1994 წლიდან

რადიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 16 (6599)

3 მარტი

საბჭოთაო

1994 წელი

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ დ ა . . .

გაზაფხული დადგა. როგორ გვინდა ამალღობა ული განწყობილებით გელაპარაკოთ, ისეთი გუხება ჩამოგვყალიბოთ, გაზაფხულის ფერიცვალობას რომ შევფერის, მაგრამ ჯერ, რომ არა გვაქვს ისე საქმე, უკვე მერამდენელ იღვრება სისხლი აფხაზე-ში, ჩვენი ძირძველი მიწიდან კვლავ დევნიან ქართველებს, აგრესიას სავსეა ციხე-სიმაღლე და ფაშისტური სისასტიკით გაუსწორდნენ გარდასამართლებს მოსახლეობას. კიდე და კიდევ იზრდება დაზოცილობა და ლტოლვილთა რიცხვი. უკვე ძირა-დევნი ირდევს ხელშიკრულა, უნევის მოლაპარაკების მესამე რაუნდი, მაგრამ მსოფლიომ ნათლად დანახა, თუ ვისთანაა საქმე. არძინა და მისი ხროვა ყოველ ღონეს სმარობენ გზა დაუხშონ და უკან დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადაუწერონ

ქართველ ლტოლვილებს. ასე რომ, უბედურებას ბედურება ემატება და ძნელია, ძარბოვით ძნელია, მძლავრად განწყობილობით ლაპარაკი. და გაზაფხული მაინც გაზაფხულია, იმედის მომცემია და სასიკეთოდ ეხმარება სულში ჩაბუდებულ შიშსა და უიმედობას. ამინდიც შესაფერისი გიდავს, ასლა, როცა ჩვენი გაუფასურებული კუბონებით ვდაფავთ სულს, მთელ იმედებს მიწაზე ვამყარებთ და თვალს და ყურს მიწისკენ გვიპირავს გაზაფხულიც ხომ ის დროა წლის სარჩოს რომ უქმნის საფუძველს. ამიტომ ხელის შეწყობა და მოხმარება უნდა მიწაზე მომუშავე თითოეულ ჩვენგანს. ტექნიკა რომც იყოს, საწვავია საჭირო, მარტო ხელით და აქა-იქ შემორჩენილი ხარით ნახნავი არაა საქმარისი.

მეტი უნდა გავაკეთოთ, მეტი უნდა ვიშრომოთ, ტყაველი მიწაც არ უნდა დავტოვოთ დაუნახ-და-უთესელი, გამოუყენებელი. მათხოვრობით და ხელზე-გაწვდილი ცხოვრებით მოპოვებული ლუკმით სანამ უნდა ვიცხოვროთ. კარგად ავწონ-დავწონოთ, მოწინააღმდეგეს ჭკუით ვაჯობოთ და ისე დავიმკვიდროთ ჩვენი და სამკვიდრებელი. გამოცდილება და ცხოვრება ბევრი გვასწავლა, სხვისი იმედი მაინც და მაინც არ უნდა გვქონდეს, ჩვენი გასაკეთებელი ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ. სხვისი დახმარებით მოპოვებული დამოუკიდებლობა მარტო-ლაღ დასაღუბადაა განწირული. ღმერთო, ბედნიერი გაზაფხული დაუყენე ქართვით. ყველა ის დარდი და ვარამი, რაც აქამდე დაგვიტანა, მძიმე ზამთარმა წაიღოს.

ცვლილებები პენსიებისა და დახმარებების მიღებაში

უკანასკნელ პერიოდში მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა რესპუბლიკაში, აღმართა უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაშია. საბაზრო ფასებს, რომ იტყვიან, ცეცხლი უკიდია. სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასებმა და ტირიფების გაზრდასთან, კუპონის კურსის დაცემასთან დაკავშირებით, მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიმდინარე წლის 11 იანვარს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნული დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკაში 1994 წლის 15 იანვრიდან შრომის ანაზ-

ღაურების მინიმალური ღონედ განისაზღვრა თვეში 50.000 კუპონი, რასთან დაკავშირებითაც ამავე თარიღიდან მოხდა არამომუშავე პენსიონერთა პენსიების გადიდება 150 პროცენტით. გადიდება მოხდება პენსიაზე დარიცხული პურის კომპენსაციის გათვალისწინებით. იანვრის პენსიების გადანაწილება მოხდა შემდეგი წესით: გამოვიყენეთ 15 იანვრამდე მოქმედი ნორმის მიხედვით 1 დღის პენსია და გააძრავლეთ 14-ზე, ხოლო ახალი ნორმით იგივე წესით 17-ზე, ე. ი. მივიღეთ იანვრის თვის თანხა მთლიანად. თებერვალში კი პენსია პარად ანგარიშში შეიტანება იანვრის სხვაობასთან ერთად.

მაგალითად: 1993 წლის დეკემბერში არამომუშავე

პენსიონერს ჰქონდა პენსია 23000 კუპონი, 6800 კუპონი პურის კომპენსაცია, სულ 29800 კუპონი. იანვარში (31 დღე) პენსიონერს 14 დღის პენსია იკუთვნის 13458 კუპონი, ხოლო 17 დღეში 40.854 კუპონი, სულ მთლიანი თანხა იანვარში შეადგენს 54.312 კუპონს, თუ იანვრის თვის პენსია პენსიონერს მიღებული აქვს, თებერვლის პენსიას 74500 კუპონს დაერიცხება იანვარში კუთვნილი პენსიის სხვაობა.

ასეთივე წესით მოხდება სოციალური და სხვა სახის პენსიების გაანგარიშება. მთავრობის დადგენილებების მე-5 პუნქტის თანახმად, არამომუშავე პენსიონერებზე 1 მარტიდან შემოღებულია გადაანგარიშების მუდმივმოქმედი მექანიზმი მზარდი ოდენობით, რადგან გათვალისწინებულია ფასების ზრდა და კუპონის კურსის დაცემა. პენსიების გადიდება დასასრული მე-3 გვერდზე

ინფლაცია და გაღრმავებული კრიზისი



დღეს დიდი საძნელეობაა რესპუბლიკის ცხოვრებაში. უკიდურესად პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად, მორალურად, სამართლებრივად. ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობა უკიდურეს სიღრმეშია განიცდის. შეფერხებულია პური, შაქარი და სხვა პროდუქტებით მომარაგებაში, ხოლო პირველი მოთხოვნალების საქონელი მომარაგებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ამ კრიზისიდან რომ ვითომ თავი დავაღწიოთ, რეპუბლიკის მთავრობამ მინარე წლის 11 იანვარს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც გაორმაგდა ხელფასები, პენსიები თუ სხვა დახმარებები, ასევე 1 მარტიდან გათვალისწინებულია ყოველთვიურად ხელფასებისა და პენსიების ზრდა 20 პროცენტით.

მაგრამ მოსახლეობის მეტწილში გაჩნდა კითხვა: რას გვამდევს ხელფასებისა და პენსიების გაორმაგება? რესპუბლიკაში ერთი ათასობის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ მაშინაც უარყოფით დამოკიდებულ იყავით ამ დადგენილებასა და ხელფასების გაორმაგებაში, რადგან უმატებენ მხოლოდ გაუფასურებულ კუპონ-ქაღალდს, სხვა არაფერი მნიშვნელოვანი არ აქვს მას, რადგან უკვე ამ გაუფასურებულ კუპონზე არავინ არაფერს ალარ უკიდურეს ვიჭვავთ ივენს ბაზარშიც კი.

როგორც კი გამოქვეყნდა დადგენილება, იმ დღიდანვე დაიწყო ბაზრებზე და კომერციულ მაღაზია-კიოსებში ფასების გაორმაგება. თუ იანვრის დასაწყისში ჩვენს ბაზარში ხორცი და ყველი 100-120 ათას კუპონად იყიდებოდა უკვე დღეს 250-300 ათასი კუპონია. ლობიო 70-80 ათას კუპონს მიაღწია. ვაშლის ფასი 70-80 ათასი კუპონია. ბოლო კვირადღეს ბაზარში გოჭი, თხა და მსხვილფეხა პირუტყვი მხოლოდ რუსულ ფულზე იყიდებოდა. გოჭი-კილოგრამაში 2000 მანეთად.

ადამიანებს ისე გაუჭირდათ, რომ ბაზარში რას არ ნახავ გასასყიდად გამოტანდნენ-ნახმარ ნივთებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს თუ სხვა წვრილმანს.

კომერციული ჩიხურებთან მიხედვით რაიმეს ყიდვა შეუძლებელია, ისეთი ფასები ადევს ყველაფერს, რა ქნას მოქალაქემ, რომ ელსაც მინიმალური ხელფასი 50 ათასი კუპონი აქვს, სხვა შემოსავალი კი არაა, როცა ერთი ნათურა 90-100 ათასი კუპონია, საპონი 100 ათასი, სარეცხი ფეხნაილი 130-140 ათასი კუპონი, საჭმელი ზეთი 250-300 ათასი კუპონი. ჩასაცვამ-დასახურავსა თუ ფეხსაცმელზე კი ლაპარაკი ზედმეტია, რა

დგან იგი ყველაფერზე მაღალ ფასად იყიდება.

უკვე სოციალური კომერციული ვაჭრობის მიმდევარმა ფულად ვაჭრობა გაიზარდა შემოსავლის წყაროდ. ზოგან კომერციული ჩიხურების თავზე გაკრულია წარწერა: „ყველაფერი რუსულ მანეთად 110 კუპონად“. შემდეგ კი ყიდიან 130 კუპონად.

ახლა ტრანსპორტით მომსახურებას იკითხავთ? აქაც ყველაფერი თავდაყირა დადგა. ერთი თვის წინ თუ სახელმწიფო ერთ ტონა დიზელის საწვავს 17 მილიონ კუპონად ყიდა, ახლა იგი 47 მილიონ კუპონი ღირს, ხოლო გადამყიდველების ხელში-80-100 მილიონი. ყოველივე ამან გზავრობაზეც იყო მედა და დღეს ცაგერიდან კუთაისში ჩასვლა 150-200 ათასი კუპონი ღირს.

გაზაფხული ძალაში შევიდა. სოფლად ათასი საქმეა, ქალის ფართობებზე საანეულო ხვნა უნდა იყოს, ყვავილების ნაცვლად შექმნილი მომსახურების საწარმოები ფორმალურად არიან, არ აქვთ საწვავი, ტექნიკა, შხამქიმიკატები, სასუქი, შაბიამანი თუ სხვა საჭირო მასალები, რითაც შეიძლება მომარაგონ მოსახლეობა ან მომსახურება გაუწიონ. არადა საჭირო კია რესპუბლიკურმა თუ რაიონულმა ხელმძღვანელებმა რგოლებმა პირველ რიგში მოამარაგონ მომსახურების საწარმოები საწვავით, სათადარიგო ნაწილებით, შაბიამანით, სასუქით, თუ სხვა მასალებით, რათა დროულად დამუშავდეს ფართობები, ბალ-ვენახები და მივიღოთ მაღალი მოსავალი, რაც ცოტათი მაინც წაადგება ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას.

ზოგიერთი პარლამენტარი თუ ეკონომისტი იმასაც გაძახის გავზარდოთ პურის ფასი, ხოლო მოსახლეობას კომპენსაცია მივცეთო. ისინი კი იმას არ უფიქრობდებიან, რომ კომპენსაციას ღებულობს მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკები, პენსიონერები და ზოგიერთი ასეთი კატეგორიის თანამშრომლები, საშემოსულო ანგარიშზე მყოფი საწარმოების და ორგანიზაციების მუშაკები. თუ სხვა მოსახლეობის საკმაოდ დიდი წილი, ასეთ კომპენსაციას ვერ ღებულობს. ამიტომ საჭიროა რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ორგანიზებმა

ცხბ. გიგ.

მკითხველი, ფიქრობთ, დავგეთანხმება, რომ ჩვენი გაზეთი ცდილობს ძირითადად ისეთ სფეროებს შეეხო, რომლებიც მეტ-ნაკლებად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ვერ გეტყვით რამდენად მომგებიანია ეს, მაგრამ იმას კი ვახერხებთ რომ ასე თუ ისე ინფორმირებული იყოთ რა მდგომარეობაა მომსახურების ამა თუ იმ სფეროში; რომელთაც ჯერ კიდევ სახელმწიფო სტატუსი აქვთ; მაგრამ სახელმწიფოსაგან და თითქმის ყველასგან მივიწყებული არიან.

გაჭირვებულ, რაიონულ ცენტრს მოწყვეტილ ჩვენს მკითხველებს იქნებ აინტერესებთ რა სიტუაციაა რაიონის ჯანმრთელობის დაცვის ძირითად რგოლში — რაისაავადმყოფოში, რით სუნთქავენ, რას ფიქრობენ აქაური მედიკოსები, რა იმედებს ხედავენ სახვლიოდ. ნომრის სტუმარია რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმი მურმან თოთაძე:

ბუნებრივია, როგორც ყველას, ჩვენც გაუსაძლიარად გვიჭირს, მაგრამ არა მგონია მკრეხლობად ჩამოგვრთვას იმის აღნიშვნა, რომ მართლაც დიდის ძალისხმევით, გულისხმიერებითა და პროფესიული პასუხისმგებლობით ვახერხებთ, თითქმის ჩვენი საშუალებებით ავადმყოფთა სტაციონარულ მკურნალობას. ამჟამად რაიონულ საავადმყოფოში 30-მდე ავადმყოფია. პირადი კონტაქტებით მოვახერხეთ წამლების შემოტანა, ამას ემატება ჰუმანიტარული დახმარება, ასე რომ, ამჟამად წამლების პრობლემა არა გვაქვს, პირიქით, ჩვენ ამბულატორიულ ავადმყოფებზეც კი დავუშვით არა ერთი წამლის ვაცემა, რაც არასწორია, მაგრამ გაჭირვებულთ დავეხმარეთ. ხელი შეგვიწყო იმანაც, რომ ელექტროენცეფალიოგრაფიის წყალობით ამ ზამთარს, უშეშობის პირობებში, მოვახერხეთ პალატების გათბობა.

შემოვიტანეთ თეთრეთლი, საექიმო ხალათები თუ სხვა. რაც შეეხება კვების ბლოკს, აქ ნამდვილად გვიჭირს. ფინანსურად არა-

ნაირი საშუალება არ გვაქვს შავ ბაზარზე შევისყიდოთ პროდუქტები. ამ დღეებში რამდენიმე კილოგრამ ვერაძის ხაჭაპურს და 5 კალ საპონს თითქმის ორმილიონამდე კუპონი გადავიხადეთ. გადახდა ერთია, რის ვაივალახით, ხან დაქირავებული, ხან შემთხვევითი ტრანსპორტით, ნერვებისა და სიცოცხლის ფასადაც გვიჯდება ყოველივე ეს. ამ წუთში ავადმყოფები ნასესხებ შაქარზე გვყავს, სხვას რომ თავი დავანებოთ. ვიდრე სახელმწიფო სტატუსი გვაქვს, მიმაჩნია ისე მაინც უნდა დავგაფინანსონ, რომ საწვავი შევიძინოთ, ესაა ჩვენთვის მთავარზე მთავარი. თუ კი ნეფტობაზიდან რეგულარულად მივიღებთ განკუთვნილ საწვავს, ჩვენ შეგვიძლია ვიმოგვოთ ტრანსპორტი, ვიწვავოთ, რაღაც შემოვიტანოთ. წელიწადზე მეტია პარალიზებულია სასწრაფო დახმარების ტრანსპორტი. სასწრაფო დახმარების სამსახური მხოლოდ ქალაქსა და მის მიმდებარე მისაწვდომ სოფლებს ემსახურება. წელიწადში ერთხელაც ვერ გავდივართ

მოსახლეობაში, ვერ ვხვდებით ავადმყოფებს, სხვა რომ არაფერი, უბრალოდ შეუძლებელია, აუტანელია ასე მუშაობა. და კიდევ: რა დაშავეს მძლოლებმა, რომელთაც თითქმის ორი წელია კაპიკი არ მიუღიათ, სოციალურად ყველაზე დაუცველი კონტიგენტი ესენი ვახლავთ ჩვენს სფეროში.

ამჟამად რაიონში ფრიად სერიოზული დაავადებანი გამოვლინდა — ტიფინელი, ოზი და მუნი („მოიერი“) საჭიროა პროფლაქტიკური, ლაბორატორიული სამუშაოების მთელი დატვირთვით ამოქმედება. ამ დროს ვერ ვმოულობთ ანალიზისათვის საჭირო შრატებს, სპეცმასალას, რენტგენის ფირებს და ა. შ.

რამდენიმე სიტყვით რაისაავადმყოფოს ახალი კორპუსის მშენებლობაზე. იგი დაკონსერვებულია და ჩემის აზრით, სამუდამოდ. გვექონდა შეხვედრა მინისტრის მოადგილესთან გოგიჩაძესთან, რომელიც კარგად იცნობს რაიონსაც და მშენებლობასაც. მაგრამ პასუხი ერთია: თუ კი რაიონი თავად ჩათვლის აუ-

ცილებლად — რისიმე მშენებლობას, თანაც შეესაბამებოდეს უნდა ააშენოს, არანაირი იმედი არ არის სადმედან. რაც შეეხება ალბანის საუბნო საავადმყოფოს მშენებლობას, იგი სტიქიით დაზარალებული ობიექტია და მშენებლობა გაგრძელდება.

რაც შეეხება კაორებს. საგანგაშოდ ნამდვილად არა გვაქვს საქმე, მაგრამ გვაკლია რამდენიმე სპეციალისტი, მაგალითად, ანესტეზიოლოგი, ქირურგიულ, სამშობიარო განყოფილებაშიც ვაჭირდება ექიმი სპეციალისტები.

ოყურეშისა და ალვის უბნები უექიმოდ გვყავს ამ გაჭირვების ქაშაში.

ერთი სიტყვით, გასაჭირი ჩვენთანაც ბლომადაა, მაგრამ რითაც დავიწყებ, იმით დავამთავრებ, რომ ძნელია ულაღატო პროფესიას, რომელსაც ექიმობა ჰქვია, როდესაც ავადმყოფი, ისედაც უსასოო დღევანდელადაა და მერეტკივლით შეჭირვებული, შენ შემოგცქერის, შენგან ელის შემელას.

სიახლე

მეანობრთა საყურადღებოდ

ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მათარებამ, როგორც ყველა სფეროში, მძიმე გავლენა მოახდინა აგრეთვე ინსპექტიის საფინანსო-საბანკო პოლიტიკაზე. მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი ეროვნული ფულის ნიშანი კუპონი, ინფლაციამ ყოველგვარ ზღვარს მიღწია, კუნებრივია, მინიმუმამდე დაყვანილი მისი მსყიდველობით უნარჩანაბრა და ა. შ. არსებული ვითარების გამო, შემსახველი ბანკის დაწესებულებებში ფულადი თანხების შენახვისათვის მოქალაქეთა დაინტერესების, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით, 1993 წლის 1 დეკემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვა ყველა სახის ვადიანი ანაბარი და დაწესდა ახალი ვადიანი ანაბარი ერთი წლის შენახვის პირობით წლიური 150 პროცენტის მირიცხვით.

მკითხველისათვის უფრო გასაგები რომ გახდეს, შემახვედრე ბანკში დღეისათვის მოქმედებს აქამდე არსებული (მოკითხვამდე) ანაბარი, რომელზეც შენახვას შეუძლია მოახდინოს თანხის ოპერაცია (შემოტანა-გატანა) სურვილისამებრ წლიური 15 პროცენტის მირიცხვით და ახალი ვადიანი ანაბარი ერთი წლის ვადით წლი-

ური 150 პროცენტის მირიცხვით, აქვე განვმარტავ რომ ადრე არსებული ვადიანი ანაბარი (3 წლით, 5 წლით, 10 წლით და ა. შ.) ჩაითვლება როგორც ერთწლიანი ვადიანი ანაბარი. ასევე ბავშვთა არსებულ მიზნობრივ ანაბარს ნაცვლად 80 პროცენტისა 1993 წლის 1 დეკემბრიდან დაერიცხება 150 პროცენტი.

ვიმედოვნებ სისტემაში შექმნილი სასიკეთო სიახლენი მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესებს მეანობრეთა საფინანსო მდგომარეობას.

თავის მხრივ რაიონის შემსახველი ბანკის კოლექტივი მზად არის თქვენთან თანამშრომლობისა და სათანადო დონეზე მომსახურებისთვის.

შ. გოლეთიანი,
ცაგერის შემსახველი ბანკის მმართველი.

ის უკიდურესად მწვავე სოციალური და ეკონომიკური პირობები, რაც ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში დაგვიდრდა, ყოველგვარი უპირატესობის გარეშე გადასწვდა ყველას. უსაწვავობის გამო მუშაობა შეწყდა სპეციალისტების ისეთი ობიექტებშიც კი, როგორიცაა სახანძრო და სასწრაფო დახმარება. რას იზამ, იმ გაჭირვებულ ფასებს, რაც სასწავ-საცხები მასალების შეძენას სჭირდება, ვერ სწვდება რაიონის გაძალადებული ბიუჯეტი, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს საჭიროებისამებრ რომ აფინანსებდა.

ამ დღეებში მკითხველმა ალბათ ხაზა სატელევიზიო გადაცემა, სადაც ნაჩვენებ იყო თუ რა პირობებში დაიწვა ქალაქ თბილისში ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი. აქ ხანძარი გაჩნდა სახლის მეორე სართულზე და მაშინვე

ხანძრისგან

დაზღვეული

ვინაა

აცნობეს სახანძრო ნაწილს, მაგრამ უსაწვავობის გამო შესანძრეები ვერ მივიღეთ გამოძახების ადგილას, სახლის მცხოვრებლები იმულებული გახდნენ შეიგბროვებინათ საწვავი, მიეტანათ იგი სახანძრო ნაწილში და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს შესანძრეებმა ჩაქროთ ხანძარი და იგი სხვა შენობაზე არ გადასულია, ამ დროში კი ხანძარმა შეთანქა ოთხივე სართული.

ხელ-ფეხ შეკრულია სახანძრო დაცვის მუშაკები უსაწვავობით. მომხდარი ხანძრის შემთხვევაში ავტომატურად

გორ გადიან დახმარების აღმოსაჩენად, რასაც შესაძლებელია მძიმე იდეები მოჰყვეს. ამიტომ სახანძრო დაცვის ხელმძღვანელობა, მეხანძრეები თხოვნით მიმართავენ რაიონის დაწესებულებებს, კოორდინირებულ, კომერციულ სტრუქტურებს, მოსახლეობას შესაძლებლობის ფარგლებში გაიღონ ულადი დახმარება, რაც მათსავე მომსახურებისთვის საწვავ-საცხები მასალების შეძენას მოხმარდება.

ხანძარი ეს ისეთი რამაა, მისგან არავინ და არაფერიც დასწვდელი, ამასთან კარგად იცით, მასთან ბრძოლა ცარიელი ხელებით ძნელია, ამიტომ თუ გვიანდა, რომ ამ საშიშროებისაგან მაინც მშვიდად ვიყოთ, გავილოთ დახმარება, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში.

ანგარიში გახსნილია ცაგერის აგრომრეწველბანკში № 15103.

რომ ბრალისთა ბრძოლა

დაემშვიდობა ოჯახს, სოფელს, წავიდა და წავიდა სამუდამოდ.

* * *

დღეს შალვას კერაზე ცხოვრობს მისი ერთადერთი ღირსიული მეგობარი — ჯორა ლარცულაიანი, შეილებითა და შვილიშვილებით სავსე ქალაქურ ყაიდაზე მოწყობილ კარმიდამოში. ჭიშკართან სამშულო ომში დაღუპული ლარცულაიანებისა და მათი ახლობლების ფოტოსტენდი აქვს გაკეთებული ბატონ ჟორას. ალბათ, რა

ძვირი დაგიჯდებოდათ მეტი, ვეკითხები, რას იზამ მამაჩემისა და მათი სიცოცხლე უფრო ძვირი იყო, მასსულობს.

ეს ის ჟორაა, მამა რომ აგრერიგათ ესწრაფვოდა ესწავლა და არ შეერცხებინა გარი და ქვეყანა.

ჟორა შალვას ძე ლარცულაიანი სპეციალობით მძლოლია, მის ოჯახში სიყვარული, პატივისცემა, პატიოსნება სუფიერს, შრომა ბატონობს. რომ ასე არა, ალბათ ვერ შეძლებ-

და ასეთი სახლ-კარის გამართვას, ასეთი შვილების გაზრდას. გვერდით ვაჟი, ცოლად უდგას მიულო. ოჯახში პირველი საპატიო სადღეგრძელო ძვირფასი და საამაყო მამის შალვას არდაიწყოებას ეძღვნება.

შვილიშვილები ახალისებენ ოჯახს. ერთმანეთზე უკეთესები, ხუთოსნები, საუკეთესო ალბრდილები. იხაროს ასეთმა ოჯახებმა საქართველოში, ჟორასანაირმა შვილებმა, თითებზე ჩამოსათვლილნი რომ არიან, სამწუხაროდ.

პირობა ლეთოლიანი.

თქვასი

1941 წლის აგვისტო. ცაგერის სამხედრო კომისარიატის ეზო სავსეა ომში მიმავალი ვაჟაკებით, სიმღერით მიდიან ბიჭები ომში.

ლარცულაიანი შალვა ლარცულაიანი დილაადრიანად, ოჯახს მიხედა, ცეცხლი გააჩალა, მისი ერთადერთი ბიჭი სკოლაში წაიყვანა, მასწავლებელს ჩააბარა და ცოლს უთხრა: ბიჭები ახლა შეგროვილი იქნებიან კომისარიატში,

